ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის გაფართოებული სხდომა

ო ქ მ ი #1

24 თებერვალი 2020 წელი

ქ.ბაღდათი (მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლი)

14.30 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: ირინა ტყეშელაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის გაფართოებულ სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:
თეონა ფახურიძე
ფრიდონ შაჩიტაძე
სიმონ ჭოლოკავა
რუსუდან გეწაძე
სხდომას ასევე ესწრებოდნენ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლის ამბულატორიის ექიმები

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში

ა.ა.ი.პ - ების ხელმძღვანელები და წარმომადგენლები: ბიძინა ჯაბიძე, ვაკო კვინიხიძე, ბაჩუკი მშვილდაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი: მარეხი მშვენიერაძე

ს.ს.ი.პ სახელმწიფო ზრუნვის ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების იმერეთის რეგიონალურთა ცენტრის ბაღდათის რაიონალური წარმომადგენლობის სოციალური მუშაკი: ელენე ჩხეიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი: ნინო მშვილდაძე

ბაღდათის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი უმცროსი ლეიტენანტი: თეონა ჯოლია

ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი ნატო მაჩიტაძე
სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაღდათის რაიონული სამსახურის უფროსი: ემელიანე ლომიძე

ბაღდათის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი: ვანო ჟორჟოლიანი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -„ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა დირექტორი: თამილა ფაიქიძე ამავე სამსახურის წარმომადგენელი
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სამსახურის ინფორმაცია (პრეზენტაცია) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველ ოჯახთა, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯანდაცვითი და სოციალური პრობლემები, აგრეთვე 2020 წლის პროგრამებისა და სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ.

მომხს:მარეხი მშვენიერაძე

2. განათლება კომპლექსური რეფორმის ფარგლებში, საჯარო სკოლებში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის პროცესი

მომხს:ვანო ჟორჟოლიანი

თანამომხსენებელი:ნინო მშვილდაძე

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -„ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანების, ბაგა-ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო მეთოდების, აგრეთვე სახელმწიფო სტანდარტებით გათვალისწინებული სააღმზრდელო პროცესების სწორი წარმართვა და ორგანიზება

მომხს:თამილა ფაიქიძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სამსახურის ინფორმაცია (პრეზენტაცია) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველ ოჯახთა, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯანდაცვითი და სოციალური პრობლემები, აგრეთვე 2020 წლის პროგრამებისა და სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სამსახურის უფროსმა: მარეხი მშვენიერაძემ, განაცხადა, რომ სულ არის 19 მუხლი სადაც გამოყოფილია ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პროგრამების მიმართულებები

სოფლის ამბულატორიის ექიმი: მარინა ტუღუშმა კითხვით მიმართა მარეხი მშვენიერაძეს მესამე ბავშვის შეძენის შემთხვევაში რა თანხას ვაძლევთ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სამსახურის უფროსმა: მარეხი მშვენიერაძემ უპასუხა მარინა ტუღუშს რომ მესამე შვილის შეძენისას ეძლევა ოჯახს 300ლარი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სამსახურის უფროსმა: მარეხი მშვენიერაძემ განაცხადა, რომ წელს გვინდა რაღაც ეტაპზე მოვიკვლიოთ შინ მოვლის პროგრამა აქ კიდევ ბევრი რამ დასახვეწია, და მოსაძევია დასაფინანსებელი თანხა და მოლაპარაკება მიმდინარეობს საერთაშორისო ორგანიზაცია „წითელ ჯვართან", აგრეთვე გვინდა ხელი შეუწყოთ ოჯახებს, რომლებსაც უნდათ დახმარება ერთჯერადად პირობების გასაუმჯობესებლად, რომ შემდგომში დამოუკიდებლად შეძლონ ოჯახის შენახვა ამ მიზნით მაქსიმუმ 1000ლარამდე შეიძლება დახმარების გაწევა რაშიდაც გვეხმარება არსამთავრობო ორგანიზაცია „ვორდ ვიჟენ ჯორჯია" შესაძლებელია აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს სამუშაო იარაღების, საოჯახო ნივთების და პირუტყვის შესაძენად

სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაღდათის რაიონული სამსახურის უფროსი: ემელიანე ლომიძე: სოციალური დახმარების გაცემის მიზნით ხელახალი გადამოწმების შემთხვევაში ის დახმარების თანხა რომელსაც ოჯახი ღებულობს არ შეუწყდება და თუ არ იქნა გადამოწმების შედეგად იმ საჭირო ქულათა ოდენობა რომ დახმარება გაიცეს ამ შემთხვევაში თანხა რომელიც უკვე აღებული აქვს ამ ტიპის ოჯახებს უკან არ დააბრუნებს

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა კითხვით მიმართა ელენე ჩხეიძეს ბავშვთა დაცვის კუთხით თუ მიმდინარეობს მუშაობა

ს.ს.ი.პ სახელმწიფო ზრუნვის ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების იმერეთის რეგიონალურთა ცენტრის ბაღდათის რაიონალური წარმომადგენლობის სოციალური მუშაკი: ელენე ჩხეიძემ უპასუხა ირინა ტყეშელაშვილს, რომ 2020 წლის 1 თებერვლიდან ჩვენი სამსახური გამოეყო სოციალურ სააგენტო და გადავიდა ჯანდაცვის ს.ს.ი.პ-ში რეგიონალური სამსახურია და იქედან ვმუშაობთ ჩვენი სამუშაო ფუნქციებიდან გამომდინარე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სამსახურის ინფორმაცია (პრეზენტაცია) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველ ოჯახთა, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯანდაცვითი და სოციალური პრობლემები, აგრეთვე 2020 წლის პროგრამებისა და სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ. მიიღო ცნობის სახით

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: განათლება კომპლექსური რეფორმის ფარგლებში, საჯარო

სკოლებში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის პროცესი. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა: ვანო ჟორჟოლიანმა, მან განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტში ამჟამად არის 21 საჯარო სკოლა შენობები ძირითადად გამართულია არა გვაქვს ისეთი შენობა რომელიც დაზიანებულია და სასწავლო პროცესებისათვის შეუსაბამოა 2020 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება მოხდება მერიის მიერ, მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ არ მოხდეს სასწავლო პროცესისათვის ხელშემლა, მოსწავლეთა გადაყვანა ხორციელდება კანონის სრული დაცვით ტენდერს აცხადებს ინფრასტრუქტურის სააგენტო და შემდგომ მერია უზრუნველყოფს მოსწავლეთა ტრანსპორტირებას

კომისიის თ/მოადგილე: ფრიდონ მაჩიტაძემ კითხვით მიმართა ვანო ჟორჟოლიანს რომელ სკოლაში ემატება მანდატური

რესურსცენტრი - ვანო ჟორჟოლიანმა: უპასუხა ფრიდონ მაჩიტაძეს, რომ მანდატურის დამატება საჭიროა სოფელ დიმის პირველ საჯარო სკოლაში და მიმდინეერობს ამ საკითხზე მუშაობა

რესურსცენტრი - ვანო ჟორჟოლიანმა: განაცხადა, რომ აუცილებელია სკოლებში მოსწავლეებმა წარმოადგინონ ჯანმრთელობის ცნობა, რა თქმა უნდა ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ უნდა ვიყოთ ინფორმირებული

ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი ნატო მაჩიტაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ წითელას აცრები რომელიც ტარდება 40წლამდე ასაკის მოსახლეობისათვის აუცილებელია ეს აცრები ჩაიტარონ ამ მიმართულებით იქნება საჭირო მაქსიმალური ჩართულობა

რესურსცენტრი - ვანო ჟორჟოლიანმა: განაცხადა, რომ თუ არსებული კანონის შესაბამისად აცრების ჩატარება 40წლამდე აუცილებელია და მითითებულია რომ ეს სავალდებულოა უნდა ვიმოქმედოდ კანონის შესაბამისად

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ განათლება კომპლექსური რეფორმის ფარგლებში, საჯარო სკოლებში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის პროცესი. კომისიამ განიხილა საკითხი და მიიღო ცნობის სახით

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი3. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანების, ბაგა-ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო მეთოდების, აგრეთვე სახელმწიფო სტანდარტებით გათვალისწინებული სააღმზრდელო პროცესების სწორი წარმართვა და ორგანიზება

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა კითხვით მიმართა თამილა ფაიქიძეს ბავშვების შემთხვევაში სოციალურად დაუცველებზე დაემატა რაიმე პროგრამულად ან რა იგეგმება ბაგა-ბაღების სააღმზრდელო პროცესების მიმართულებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -„ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა დირექტორი: თამილა ფაიქიძემ უპასუხა ირინა ტყეშელაშვილს, რომ არ არის თანხები საკმარისი მიზანი გვაქვს უფრო გამართულად უნდა ვიმუშაოთ, მივდივართ სტანდარტებისკენ, სექტემბრიდან მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით გვემატება ხელფასები. სამედიცინო თემებს რაც შეეხება, მაქსიმალურად ვთანამშრომლობთ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრთან ქალბატონ ნატო მაჩიტაძესთან

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა კითხვით მიმართა თამილა ფაიქიძეს სოფ. დიმში დაემატა ბაგა-ბაღის ჯგუფი, ამ მხრივ ხომ არ არის რაიმე პრობლემური საკითხი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -„ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა დირექტორი: თამილა ფაიქიძემ უპასუხა ირინა ტყეშელაშვილს, რომ სოფ. დიმში დაემატა ბაგა-ბაღის ჯგუფი, არ არის რაიმე პრობლემა თანხები ამ მიმართულებით საკმარისია

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -„ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანების, ბაგა-ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო მეთოდების, აგრეთვე სახელმწიფო სტანდარტებით გათვალისწინებული სააღმზრდელო პროცესების სწორი წარმართვა და ორგანიზება მიიღო საკითხი ცნობის სახით.

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხები ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილი